ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია ხაჩიძე

მაღალი რიგის დისკრეტული განტოლებების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ

გამოყენებითი მათემატიკა

ნაშრომი შესრულებულია მათემატიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: რომან კოპლატაძე,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2016

სარჩევი

რეზიუმე

ნაშრომში შესწავლილია შემდეგი სახის მღალი რიგის სხვაობიანი განტოლების

$$\Delta^{(n)}u(k) + p(k)\left|u(\sigma(k))\right|^{\lambda} sign(u(\sigma(k)) = 0$$

ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა. სადაც $n \geq 2$, $0 < \lambda < 1$, $p : N \to R$, $\sigma : N \to N$, $\lim\limits_{k\to\infty}\sigma(k) = +\infty$.

ნაშრომის მეორე პარაგრაფში მოყვანილია მონოტონური მიმდევრობების ზოგიერთი ახალი თვისება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ძირითადი შედეგების მიღებისას. მომდევნო პარაგრაფებში დადგენილია საკმარისი პირობები იმისა, რომ განტოლებას გააჩნდეს A და B თვისება (განმარტება იხ.ქვემოთ).

Summary

In this paper is studied the asymptotic behavior of high order difference Equation. Equation is as follows

$$\Delta^{(n)}u(k) + p(k)\left|u(\sigma(k))\right|^{\lambda} sign(u(\sigma(k)) = 0$$

Where $n \geq 2$, $0 < \lambda < 1$, $p : N \to R$, $\sigma : N \to N$, $\lim\limits_{k\to\infty}\sigma(k) = +\infty$.

In the second paragraphs of monograph given some properties of monotone sequences, which have the essential sinse for receipt of fundamental results. In the next paragraphs are established sufficient conditions that Equation will have property A and property B. (explain see down)

1. შესავალი

ნაშრომში განხილულია შემდეგი სახის n-ური რიგის სხვაობიანი განტოლება

$$\Delta^{(n)}u(k)+p(k)\left|u(\sigma(k))\right|^{\lambda}sign(u(\sigma(k))=0 \tag{1.1}$$

სადაც $p(k):N\to R$, $\sigma:N\to N$, $\sigma(k)\geq k+1$, $n\geq 2$

$$\begin{aligned}&\Delta u(k)=u(k+1)-u(k)\\&\Delta^{(i)}u(k)=\Delta\circ\Delta^{(i-1)}u(k)\qquad i=2,3,\ldots\ldots\end{aligned} \tag{1.2}$$

ნებისმიერი $k_0\in N$ -თვის $U_{k_0,\ell}$ -ით აღვნიშნოთ (1.1) განტოლების $u:[k_0;+\infty)\to R_+$ ამონახსნების სიმრავლე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს:

$$\Delta^{(i)}u(k)>0,\ \text{როცა}\ k\geq k_0,\ i=0,1,..,\ell-1,$$

$$(-1)^i\Delta^{(i)}u(k)\geq 0,\ \text{როცა}\ k\geq k_0,\ i=\ell,\ldots,n \tag{1.3$_\ell$}$$

ქვემოთ ყველგან იგულისხმება, რომ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი ორი პირობიდან:

$$p(k)\geq 0,\quad \text{როცა}\quad k\in N \tag{1.4}$$

ან

$$p(k)\leq 0,\quad \text{როცა}\quad k\in N \tag{1.5}$$

ვთქვათ $k_0\in N$, N_{k_0} -ით აღვნიშნოთ სიმრავლე $N_{k_0}\equiv\{k_{k_0},k_0+1,\ldots\}$

განმარტება 1.1 ვთქვათ $k_0\in N$. $u:[k_0;+\infty)\to R$. u -ს ეწოდება (1.1) განტოლების წესიერი ამონახსნი თუ ის აკმაყოფილებს (1.1) განტოლებას $[k_0;+\infty)$ შუალედზე და

$$\sup\{\left|u(k)\right|:k\geq s\}>0\qquad \forall s>k_0\ \text{-თვის} \tag{1.6}$$

განმარტება 1.2 (1.1) განტოლების წესიერ ამონახსნს $u:[k_0;+\infty)\to R$ ეწოდება რხევადი თუ $\forall k$ -თვის არსებობს $k_1,k_2\in N$ ისეთი, რომ

$$u(k_1)u(k_2)<0 \tag{1.7}$$

განმარტება 1.3 ვიტყვით, რომ (1.1) განტოლებას გააჩნია A თვისება, თუ მისი ყოველი წესიერი ამონახსნი ლუწი n-ის შემთხვევაში რხევადია, ხოლო კენტი n-ის შემთხვევაში ან რხევადია, ან აკმაყოფილებს პირობას

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right|\downarrow 0,\ \text{როცა}\ k\to+\infty \qquad i=0,\dots,n-1 \tag{1.8}$$

განმარტება 1.4 ვიტყვით, რომ (1.1) განტოლებას გააჩნია B თვისება , თუ მისი ყოველი წესიერი ამონახსნი ლუწი n-ის შემთხვევაში ან რხევადია, ან აკმაყოფილებს (1.8) პირობას, ან

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right|\uparrow +\infty,\ \text{როცა}\ k\to+\infty \qquad i=0,\dots,n-1 \tag{1.9}$$

ხოლო კენტი n-ის შემთხვევაში ან რხევადია, ან აკაყოფილებს (1.9) პირობას

მოცემულ ნაშრომში მოყვანილია საკმარისი პირობები იმისათვის, რომ (1.1) განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება.

ანალოგიური ამოცანა ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში კარგადაა შესწავლილი [1,2,4]. რაც შეეხება სხვაობიან განტოლებებს ეს ამოცანა კარგად არის შესწავლილი პირველი და მეორე რიგის განტოლებების შემთხვევაში [3,5,6]. ხოლო მაღალი რიგის განტოლებების შემთხვევაში ანალოგიური ამოცანა (მისი სირთულიდან გამომდინარე) თითქმის არ არის შესწავლილი.

2. ზოგიერთი დამხმარე ლემა

ამ პარაგრაფში მოყვანილი იქნება დამხმარე ლემები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მომდევნო პარაგრაფებში, მიღებული შედეგების დამტკიცების დროს.

ლემა 2.1 ვთქვათ $u: N \to R$, $m \in N$, $j \le m-1$, $k_0 \in N$ მაშინ სამართლიანია

$$\frac{(-1)^{m-1}}{(m-j-1)!}\sum_{s=k_0}^{k-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s) = \sum_{i=j}^{m-1}\frac{(-1)^i}{(i-j)!}k^{i-j}\Delta^{(i)}u(k) -$$

$$-\frac{1}{(m-j-1)!}\sum_{i=j}^{m-1}(-1)^i\Delta^{(m-i-1)}(k_0+i-m)^{m-j+1}\Delta^{(i)}u(k_0) \qquad (2.1)$$

შენიშვნა 2.1 ვიგულისხმოთ, რომ $\sum_{s=k_0}^{k_0-1} u(s) = 0$.

დამტკიცება: შემოვიღოთ აღნიშვნები

$$\Phi_m(k) \equiv \sum_{s=k_0}^{k-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s) \qquad (2.2)$$

$$\Psi_m(k) \equiv \sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k) -$$

$$-\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k_0+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k_0) \qquad (2.3_{j,k})$$

ვაჩვენოთ, რომ $$\Phi_m(k) = \Psi_m(k) \qquad (2.4)$$

(2.4) ტოლობის დასამტკიცებლად საკმარისია შესრულდეს შემდეგი ორი ტოლობა:

$$\Phi_m(k_0)=\Psi_m(k_0) \tag{2.5.1}$$

$$\Delta\Phi_m(k)=\Delta\Psi_m(k) \tag{2.5.2}$$

$$\Phi_m(k_0)=\sum_{s=k_0}^{k_0-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)=0$$

$$\Psi_m(k_0)=\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k_0+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k_0)-$$
$$-\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k_0+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k_0)=0$$

მაშასადამე (2.5.1) ტოლობა სრულდება. ვაჩვენოთ (2.5.2) ტოლობის სამართლიანობა

$$\Delta\Phi_m(k)=\Phi_m(k+1)-\Phi_m(k)=\sum_{s=k_0}^{k} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)-\sum_{s=k_0}^{k-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)$$

უკანასკნელ ტოლობაში პირველი ჯამიდან გამოვყოთ ბოლო წევრი, მივღებთ

$$\Delta\Phi_m(k)=k^{m-j-1}\Delta^{(m)}u(k)+\sum_{s=k_0}^{k-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)-\sum_{s=k_0}^{k-1} s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)=k^{m-j-1}\Delta^{(m)}u(k)$$

განვიხილოთ $\Delta\Psi_m(k)$. თუ გავითვალისწინებთ $(2.3_{j,k})$ მივიღებთ:

$$\Delta\Psi_m(k)=\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta[\Delta^{(m-i-1)}(k+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k) \tag{2.6}$$

ნამრავლის სხვაობაგანვმარტოთ შემდეგნაირად:

$$\Delta[u(k)v(k)]=v(k+1)\Delta u(k)+u(k)\Delta v(k) \tag{2.7}$$

მაშინ (2.6)-დან მივიღებთ

$$\Delta\Psi_m(k)=\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}[\Delta^{(m-i-1)}(k+1+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i+1)}u(k)+\Delta^{(m-i)}(k+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k)]$$

თუ გავხსნით ფრჩხილები და პირველი შესკრებიდან გამოვყოთ ბოლო წევრი, გვექნება

$$\Delta\Psi_m(k)=k^{m-j-1}\Delta^{(m)}u(k)+\sum_{i=j}^{m-2}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k+1+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i+1)}u(k)+$$

$$+\sum_{i=j}^{m-1}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i)}(k+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i)}u(k)$$

რადგან $\Delta^{(m-j)}(k+i-m)^{m-j-1}=0$, მაშინ მეორე ჯამში მოვახდინოთ გარდაქმნა $i=i+1$

$$\Delta\Psi_m(k)=k^{m-j-1}\Delta^{(m)}u(k)+\sum_{i=j}^{m-2}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k+1+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i+1)}u(k)+$$

$$+\sum_{i=j}^{m-2}(-1)^{m+i-1}\Delta^{(m-i-1)}(k+1+i-m)^{m-j-1}\Delta^{(i+1)}u(k)=k^{m-j-1}\Delta^{(m)}u(k)$$

ე.ი. სრულდება (2.5.2) ტოლობა. მაშასადამე სრულდება (2.4) ტოლობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\Delta^{(m-i-1)}(k+i-m)^{m-j-1}=k^{i-j}\,\frac{(m-j-1)!}{(i-j)!}(1+O(1)) \tag{2.8}$$

მაშინ(2.4)-დან მივიღებთ დასამტკიცებელ (2.1) ტოლობას. მართლაც (2.4)-ში გავითვალისწინოთ (2.8), (2.2), $(2.3_{j,k})$ და გავამრავლოთ ტოლობის ორივე მხარე $\frac{(-1)^{m-1}}{(m-j-1)!}$-ზე. მივიღებთ

$$\frac{(-1)^{m-1}}{(m-j-1)!}\sum_{s=k_0}^{k-1}s^{m-j-1}\Delta^{(m)}u(s)=\sum_{i=j}^{m-1}\frac{(-1)^i}{(j-i)!}k^{j-i}\Delta^{(i)}u(k)-$$

$$-\frac{1}{(m-j-1)!}\sum_{i=j}^{m-1}(-1)^i\Delta^{(m-i-1)}(k_0+i-m)^{m-j+1}\Delta^{(i)}u(k_0)$$

ამით ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2.2 (ტეილორის ფორმულა) ვთქვათ $m \in N,\ 0 \le i \le m-1,\ u: N \to R$ მაშინ სამართლიანია

$$\Delta^{(i)}u(k) = \Delta^{(i)}u(s) + \sum_{j=i+1}^{m-1}\frac{\Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!}\prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) + \frac{1}{(m-i-1)!}\sum_{r=s}^{k-1}\varphi(k,r,i)\Delta^{(m)}u(r) \tag{$2.9_{m,i}$}$$

სადაც
$$\varphi(k,r,i) = \begin{cases} 1, & \text{როცა } i = m-1 \\ \prod_{j=1}^{m-i-1}(k-r-j) & \text{როცა } 0 \le i \le m-2 \end{cases} \tag{2.10}$$

დამტკიცება: შემოვიღოთ აღნიშვნები: $\Delta^{(i)}u(k) \equiv \psi(k)$

$$f(k) \equiv \Delta^{(i)}u(k) + \sum_{j=i+1}^{m-1}\frac{\Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!}\prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) + \frac{1}{(m-i-1)!}\sum_{r=s}^{k-1}\varphi(k,r,i)\Delta^{(m)}u(r)$$

განვიხილოთ ნამრავლის სხვაობა:

$$\Delta\prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) = \prod_{r=1}^{j-i}(k+2-s-r) - \prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r)$$

შევცვალოთ საზღვრები, მივიღებთ:

$$\Delta\prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) = \prod_{r=0}^{j-i-1}(k+1-s-r) - \prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) = \prod_{r=1}^{j-i-1}(k+1-s-r)[j-i] \tag{2.11}$$

(2.11) ტოლობის დახმარებით ვაჩვენოთ, რომ

$$\Delta^{(j)}\psi(s) = \Delta^{(j)}f(s),\quad j = \overline{1, m-i-1}$$

დავუშვათ $j=1$, მაშინ $\Delta\psi(s) = \Delta^{(i+1)}u(s)$

$$\Delta f(s) = [\sum_{j=i+1}^{m-1}\frac{\Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!}\Delta\prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) + \frac{1}{(m-i-1)!}\Delta\sum_{r=s}^{k-1}\varphi(k,r,i)\Delta^{(m)}u(r)](s) =$$

$$= \sum_{j=i+2}^{j-i} \frac{\Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!} \prod_{r=1}^{j-i-1}(s+1-s-r)(j-i) + \frac{\Delta^{(i+1)}u(s)}{1!}[\prod_{r=1}^{1}(s+2-s-r) - \prod_{r=1}^{1}(s+1-s-r)] +$$

$$+ \frac{1}{(m-i-1)!} \Delta \sum_{r=s}^{s-1} \varphi(s,r,i) \Delta^{(m)} u(r) = \Delta^{(i+1)} u(s)$$

ანალოგიური მსჯელობით მივიღებთ, რომ

$$\Delta^{(j)}\psi(s) = \Delta^{(j)} f(s), \quad j = \overline{1, m-i-1} \tag{2.12}$$

ახლა ვაჩვენოთ, რომ $$\Delta^{(m-i)}\psi(k) = \Delta^{(m-i)} f(k) \tag{2.13}$$

ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ რისი ტოლია $\Delta \prod_{j=1}^{m-i-1}(k-r-j)$

$$\Delta \prod_{j=1}^{m-i-1}(k-r-j) = \prod_{j=1}^{m-i-1}(k+1-r-j) - \prod_{j=1}^{m-i-1}(k-r-j) =$$

$$= \prod_{j=1}^{m-i-2}(k-r-j)(m-i-1) \tag{2.14}$$

თუ გავითვალისწინებთ (2.14) და ვიმსჯელებთ ანალოგიურად როგორც (2.12) ტოლობის დამტკიცებისას, მივიღებთ, რომ სამართლიანია (2.13). (2.12) და (2.13) თანახმად გვაქვს, რომ $\psi(k) = f(k)$ ე.ი. სრულდება $(2.9_{m,i})$

ამით ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2.3 (ლოპიტალის წესი) ვთქვათ $u: N \to R, v: N \to R$, $\lim_{k\to+\infty} v(k) = +\infty$,

$\lim_{k\to+\infty} u(k) = +\infty$ თუ არსებობს $\lim_{k\to+\infty} \frac{\Delta u(k)}{\Delta v(k)}$, მაშინ არსებობს $\lim_{k\to+\infty} \frac{u(k)}{v(k)}$ და

ადგილი აქვს ტოლობას

$$\lim_{k\to+\infty} \frac{u(k)}{v(k)} = \lim_{k\to+\infty} \frac{\Delta u(k)}{\Delta v(k)} \tag{2.15}$$

დამტკიცება: ვთქვათ არსებობს $\lim\limits_{k\to+\infty}\dfrac{\Delta u(k)}{\Delta v(k)}=\alpha$. მაშინ ზღვრის განმარტების

თანამად

$$\alpha-\varepsilon\le\frac{\Delta u(k)}{\Delta v(k)}\le\alpha+\varepsilon,\quad \text{სადაც } \varepsilon \text{ მცირე რიცხვია}$$

გავამრავლოთ უტოლობა $\Delta v(k)$ და ავჯამოთ k_0-დან k-მდე, გამოვიყენოთ Δ ოპერატორი. მივიღებთ

$$(\alpha-\varepsilon)(v(k+1)-v(k_0))\le u(k+1)-u(k_0)\le(\alpha+\varepsilon)(v(k+1)-v(k_0))$$

გავყოთ უტოლობა $v(k+1)$-ზე

$$(\alpha-\varepsilon)\left(1-\frac{v(k_0)}{v(k+1)}\right)\le\frac{u(k+1)}{v(k+1)}-\frac{u(k_0)}{v(k+1)}\le(\alpha+\varepsilon)\left(1-\frac{v(k_0)}{v(k+1)}\right)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $\lim\limits_{k\to\infty}v(k)=+\infty$, მაშინ

$$\alpha-\varepsilon\le\frac{u(k+1)}{v(k+1)}\le\alpha+\varepsilon$$

საიდნაც ვღებულობთ, რომ $\lim\limits_{k\to\infty}\dfrac{u(k)}{v(k)}=\alpha$

დავუშათ $\lim\limits_{k\to+\infty}\dfrac{\Delta u(k)}{\Delta v(k)}=+\infty$ მაშინ ნებისმიერი რაგინდ დიდი M-თვის ყოველთვის მოიძებნება k_1 ისეთი, რომ როცა $k\ge k_1$

$$\frac{\Delta u(k)}{\Delta v(k)}>M$$

$\Delta u(k)>M\Delta v(k)$ უტოლობის ორივე მხარე ავჯამოთ k_1-დან k -მდე და კვლავ გამოვიყენოთ სხვაობის ოპერატორი. მივიღებთ

$$\Delta u(k+1)-u(k_0)>M(v(k+1)-v(k_0))$$

უტოლობის ორივემხარე გავყოთ $v(k+1)$-ზე და გავითვალისწინოთ, რომ

$\lim\limits_{k\to+\infty} v(k+1)=+\infty$. მივიღებთ $\dfrac{u(k+1)}{v(k+1)}>M$, როცა $k\geq k_1$. ე.ი. $\lim\limits_{k\to+\infty}\dfrac{u(k)}{v(k)}=+\infty$.

ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2.4 ვთქვათ $m\geq 2$, $u:N\to R$ ფუნქცია აკმაყოფილებს პირობებს: არსებობს $k_0\in N$ ისეთი, რომ $u(k)>0$ როცა $k\geq k_0$, $\Delta^{(m)}u(k)\leq 0$ $(\Delta^{(m)}u(k)\geq 0)$ როცა $k\geq k_0$ $\Delta^{(m)}u(k)\neq 0$ უსასრულობის ნებისმიერ მიდამოში, მაშინ არსებობს $\ell\in\{0,1,2,\ldots m\}$, ისეთი რომ $\ell+m$ არის კენტი ($\ell+m$ ლუწია) და $k_1>k_0$ ისეთი, რომ სრულდება შემდეგი უტოლობები

$$\Delta^{(i)}u(k)>0,\quad i=0,\ldots.\ell-1 \text{ როცა } k\geq k_1$$

$$(-1)^{i+\ell}\Delta^{(i)}u(k)\geq 0\qquad i=\ell,\ldots m-1 \text{ როცა } k\geq k_1 \tag{2.18_ℓ}$$

$$\Delta^{(m)}u(k)\leq 0,\quad (\Delta^{(m)}u(k)\geq 0) \text{ როცა } k\geq k_1$$

შენიშვნა 2.2 თუ $\ell=0$, (2.18_ℓ) პირობებში იგულისხმება, რომ სრულდება მეორე და მესამე პირობები.

დამტკიცება: პირობის ძალით $\Delta^{(m)}u(k)\leq 0$ როცა $k\geq k_0$. მაშინ არსებობს k^* ისეთი, რომ როცა $k^*\geq k$ სრულდება შემდეგი ორიდან ერთ-ერთი 1) $\Delta^{(m-1)}u(k)\leq 0$ ან 2) $\Delta^{(m-1)}u(k)\geq 0$

ვთქვათ სრულდება პირველი. წარმოვადგინოთ $\Delta^{(m-2)}u(k)$, $\Delta^{(m-1)}u(k)$-ს საშულებით.

$$\Delta^{(m-2)}u(k)=\Delta^{(m-2)}u(k_0)+\sum_{s=k_0}^{k-1}\Delta^{(m-1)}u(k)$$

$\Delta^{(m-2)}u(k_0)$ -ფიქსირებული რიცხვია და როცა $k \to +\infty$ მივიღებთ, რომ $\Delta^{(m-2)}u(k) \le 0$. ანალოგიურად გვექნება $\Delta^{(m-3)}u(k) \le 0$ და ა.შ. მაშინ $u(k) \le 0$ რაც ეწინააღმდეგება პირობას.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა $\Delta^{(m-1)}u(k) \ge 0$. აქაც გვექნება ორი შემთხვევა რაღაც ადგილიდან დაწყებული $\Delta^{(m-2)}u(k) \le 0$ ან $\Delta^{(m-2)}u(k) \ge 0$. აქ კი განვიხილოთ $\Delta^{(m-2)}u(k) \ge 0$. მაშინ გვაქვს

$$\left.\begin{array}{l} \Delta^{(m)}u(k) \le 0 \\ \Delta^{(m-1)}u(k) \ge 0 \\ \Delta^{(m-2)}u(k) \ge 0 \end{array}\right\} \Rightarrow \Delta^{(m-3)}u(k) \ge 0$$

საბოლოოდ $u(k) > 0$. ანუ სხვაობებმა ნიშანცვლა დაიწყო $m-$ური რიგიდან, მაშინ $\ell = m-1$. შევამოწმოთ (2.18_ℓ) პირობა:

$$\Delta^{(i)}u(k) > 0 \quad \text{როცა} \quad k \ge k_1 \quad \text{სადაც} \quad k_1 > k^* \qquad i = 0,\dots,m-2$$

$$(-1)^{m-1+m-1}\Delta^{(m-1)}u(k) \ge 0 \quad \text{როცა} \quad k \ge k_1 \quad \text{სადაც} \quad k_1 > k^* \qquad i = m-1$$

ამ შემთხვევაში $\ell + m = m-1+m = 2m-1$ ანუ კენტია. ესე იგი სრულდება (2.18_ℓ)

$\Delta^{(m-2)}u(k) \le 0-$თვის ვიმსჯელოთ ანალოგიურად როგორც $\Delta^{(m)}u(k) \le 0$ -ის შემთხვევაში. ამით ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2.5 ვთქვათ $u: N \to R,\ n \ge 2$ და სრულდება პირობები

$$(-1)^i \Delta^{(i)}u(k) > 0 \ \ (i = \overline{0, n-1}), \ \ (-1)^n \Delta^{(n)}u(k) \ge 0 \ \text{როცა} \ k \ge k_0 \qquad (2.21)$$

მაშინ

$$\sum_{k=k_0}^{+\infty} k^{n-\ell} \left|\Delta^{(n)} u(k)\right| < +\infty \tag{2.22}$$

$$\left|\Delta^{(i)} u(k)\right| \geq \frac{1}{(m-i-1)!} \sum_{r=k-1}^{+\infty} \varphi^*(k,r,i) \left|\Delta^{(n)} u(r)\right| \quad k \geq k_0,\ i = \overline{0, n-1} \tag{2.23}$$

სადაც $\varphi^*(k,r,i) = \begin{cases} 1, & \text{როცა } i = n-1 \\ \prod_{j=1}^{n-i-1} (r+j-k) & \text{როცა } 0 \leq i \leq n-2 \end{cases}$

$$u(k) \geq u(s) + \sum_{j=1}^{n-1} \left| \frac{\Delta^{(j)} u(s)}{j!} \right| \prod_{r=1}^{j} (s+r-k-1) \qquad \text{როცა} \quad s \geq k \geq k_0 \tag{2.24}$$

დამტკიცება: განვიხილოთ ტეილორის ფორმულა $m=n$ და $i=0$ -თვის მივიღებთ

$$u(k) = u(s) + \sum_{j=1}^{n-1} \frac{\Delta^{(j)} u(s)}{j!} \prod_{r=1}^{j} (k+1-s-r) + \frac{1}{(n-1)!} \sum_{r=s}^{k-1} \varphi(k,r,0) \Delta^{(n)} u(r) =$$

$$= u(s) + \sum_{j=1}^{n-1} \frac{(-1)^j \Delta^{(j)} u(s)}{j!} \prod_{r=1}^{j} (s+r-k-1) + \frac{(-1)}{(n-1)!} \sum_{r=k-1}^{s} (-1)^{n-1} \prod_{j=1}^{n-1} (r+j-k) \Delta^{(n)} u(r)$$

(2.25)

(2.25)-ში თუ გავითვალისწინებთ (2.21) მივიღებთ

$$u(k) = u(s) + \sum_{j=1}^{n-1} \frac{\left|\Delta^{(j)} u(s)\right|}{j!} \prod_{r=1}^{j} (s+r-1-k) + \frac{1}{(n-1)!} \sum_{r=k-1}^{s} \prod_{j=1}^{n-1} (r+j-k) \left|\Delta^{(n)} u(r)\right|$$

$$u(k) \geq u(s) + \sum_{j=1}^{n-1} \frac{\left|\Delta^{(j)} u(s)\right|}{j!} \prod_{r=1}^{j} (s+r-k-1)$$

ამით (2.24) დამტკიცდა.

ახლა ვაჩვენოთ (2.23) უტოლობის სამართლიანობა. განვიხილოთ კვლავ ტეილორის ფორმულა $(2.9_{n,i})$ და ტოლობის ორივე მხარე გავამრავლოთ $(-1)^i$ -ზე, მაშინ გვექნება შემდეგი გამოსახულება:

$$(-1)^i \Delta^{(i)}u(k) = (-1)^i \Delta^{(i)}u(s) + (-1)^i \sum_{j=i+1}^{n-1} \frac{\Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!} \prod_{r=1}^{j-i}(k+1-s-r) + \frac{(-1)^i}{(n-i-1)!} \sum_{r=s}^{k-1} \varphi(k,r,i)\Delta^{(n)}u(r)$$

მარჯვენა მხარის მეორე შესაკრებში ნამრავლიდან გავიტანოთ $(-1)^{j-i}$, მესამე შესაკრებში შევცვალოთ ჯამის საზღვრები და $\varphi(k,r,i)$ -დან გავიტანოთ $(-1)^{n-i-1}$. მივიღებთ

$$(-1)^i \Delta^{(i)}u(k) = (-1)^i \Delta^{(i)}u(s) + \sum_{j=i+1}^{n-1} \frac{(-1)^j \Delta^{(j)}u(s)}{(j-i)!} \prod_{r=1}^{j-i}(s+r-k-1) + \frac{(-1)^n}{(n-i-1)!} \sum_{r=k-1}^{s} \varphi^*(k,r,i)\Delta^{(n)}u(r)$$

თუ გავითვალისწინებთ (2.21)-ის პირობებს გვექნება

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right| = \left|\Delta^{(i)}u(s)\right| + \sum_{j=i+1}^{n-1} \frac{\left|\Delta^{(j)}u(s)\right|}{(j-i)!} \prod_{r=1}^{j-i}(s+r-k-1) + \frac{(-1)^n}{(n-i-1)!} \sum_{r=k-1}^{s} \varphi^*(k,r,i)\left|\Delta^{(n)}u(r)\right|$$

თუ განვიხილავთ, რომ $s \to +\infty$ მაშინ

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right| \geq \frac{1}{(m-i-1)!} \sum_{r=k-1}^{+\infty} \varphi^*(k,r,i)\left|\Delta^{(n)}u(r)\right|, \qquad k \geq k_0, \qquad i = \overline{0,n-1}$$

ლემა დამტკიცებულია.

ნაწილობითი შეჯამებადობის ფორმულა:

$$\sum_{S=k_0}^{k-1} u(s)\Delta v(s) = u(k-1)v(k) - u(k_0-1)v(k_0) - \sum_{s=k_0}^{k-1} v(s)\Delta u(s-1)$$

ლემა 2.6 ვთქვათ $u : N \to R$ და რომელიმე ℓ -თვის, სადაც $\ell \in \{1,2,..,n-1\}$ სრულდება (2.18_ℓ) პირობა მაშინ

$$\sum_{k=k_1}^{+\infty} k^{n-\ell-1} \left|\Delta^{(n)} u(k)\right| < +\infty \tag{2.27}$$

$$\Delta^{(i)}u(k) \geq \Delta^{(i)}u(k_0) + \frac{1}{(n-i-1)!(n-\ell-1)!} \sum_{r=k_0}^{k-1} \varphi(k,r,i) \sum_{j=r-1}^{+\infty} \left|\varphi(r,j,\ell)\right| \left|\Delta^{(n)}u(j)\right| \quad i = \overline{o,\ell-1}$$

(2.28)

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right| \geq \frac{1}{(n-i-1)!} \sum_{r=k-1}^{+\infty} \left|\varphi(k,r,i)\right| \left|\Delta^{(n)}u(r)\right| \qquad i = \ell,...n-1 \tag{2.29}$$

გარდა ამისა თუ სრულდება

$$\sum_{k=k_1}^{+\infty} k^{n-\ell} \left|\Delta^{(n)} u(k)\right| = +\infty \tag{2.30}$$

$$\text{მაშინ} \quad \frac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}} \downarrow 0, \quad \frac{u(k)}{k^{\ell-1}} \uparrow +\infty, \quad \text{როცა} \quad k \to +\infty \tag{2.31}$$

$$u(k) > \frac{1+O(1)}{\ell!} k^{\ell-1} \Delta^{(\ell-1)} u(k) \tag{2.32}$$

და

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \frac{1}{(n-\ell)!} \sum_{s=k_1}^{k-1} \sum_{j=s}^{+\infty} j^{n-\ell-1} \left|\Delta^{(n)}u(j)\right| \quad \text{საკმარისად დიდი } k \text{ -თვის} \tag{2.33}$$

დამტკიცება: განვიხილოთ ტეილორის ფორმულა $m = n$ შემთხვევაში, გავამრავლოთ ტოლობის ორივე მხარე $(-1)^i$ -ზე, ვიგულისხმოთ, რომ $s = k-1$ მაშინ მივიღებთ:

$$(-1)^{i+\ell}\Delta^{(i)}u(k)=(-1)^{i+\ell}\Delta^{(i)}u(k-1)+\frac{(-1)^{i}}{(n-i-1)!}\sum_{r=k-1}^{+\infty}\phi(k,r,i)\Delta^{(n)}u(r)+$$

$$+(-1)^{i+\ell}\sum_{j=i+1}^{n-1}\frac{\Delta^{(j)}u(k-1)}{(j-i)!}\prod_{r=1}^{j-i}(k+1-k+1-r) \quad \text{სადაც } i=\overline{\ell,n-1}, \quad k\to+\infty .$$

თუ მეორე შესაკრებს გარდავქმნით შემდეგნაირად $\varphi(k,r,i)=(-1)^{n-i-1}\varphi^{*}(k,r,i)$ ასევე თუ გავითვალისწინებთ (2.18_{ℓ}) გვექნება

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right|=\left|\Delta^{(i)}u(k-1)\right|+C-\frac{(-1)^{\ell+n}}{(n-i-1)!}\sum_{r=k-1}^{+\infty}\varphi^{*}(k,r,i)\Delta^{(n)}u(r)$$

კვლავ (2.18_{ℓ}) პირობის გათვალისწინებით

$$\left|\Delta^{(i)}u(k)\right|\ge\frac{1}{(n-i-1)!}\sum_{r=k-1}^{+\infty}\left|\varphi(k,r,i)\right|\left|\Delta^{(n)}u(r)\right|, \quad i=\overline{\ell,n-1}$$

მივიღეთ (2.29)-ის სამართლიანობა.

განვიხილოთ კვლავ ტეილრის ფორმულა $s=k_0$-თვის $i=\overline{0,\ell-1}$

$$\Delta^{(i)}u(k)=\Delta^{(i)}u(k_0)+\frac{1}{(n-i-1)!}\sum_{r=k_0}^{k-1}\varphi(k,r,i)\Delta^{(\ell)}u(r)+(-1)^{i+\ell}\sum_{j=i+1}^{\ell-1}\frac{\Delta^{(j)}u(k_0)}{(j-i)!}\prod_{r=1}^{j-i}(k+1-k_0-r)$$

(2.18_{ℓ}) პირობის გათვალისწინებით $\Delta^{(\ell)}u(r)=\left|\Delta^{(\ell)}u(r)\right|$, თუ გამოვიყენებთ (2.29) უტოლობას $i=\ell$-თვის მაშინ გვექნება

$$\Delta^{(i)}u(k)\ge\Delta^{(i)}u(k_0)+\frac{1}{(n-i-1)!(n-\ell-1)!}\sum_{r=k_0}^{k-1}\varphi(k,r,i)\sum_{j=r-1}^{+\infty}\left|\varphi(k,r,\ell)\right|\left|\Delta^{(n)}u(j)\right|$$

მივიღეთ (2.28).

ვიგულისხმოთ, რომ სრულდება (2.30) პირობა და ვაჩვენოთ სამართლიანობა (2.31) (2.32) (2.33) გამოსახულებების. ამისათვის ლემა 2.1-ში დამტკიცებული ტოლობა ჩავწეროთ $j=\ell-1$, $m=n$-თვის და გავამრავლოთ $(-1)^{\ell-1}$-ზე

$$\frac{(-1)^{n+\ell-1-1}}{(n-j-1)!}\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell}\Delta^{(n)}u(s)=\sum_{i=\ell-1}^{n-1}\frac{(-1)^{i+\ell-1}}{(i-\ell+1)!}k^{i-\ell+1}\Delta^{(i)}u(k)-$$

$$-\frac{(-1)^{\ell-1}}{(n-\ell)!}\sum_{i=\ell-1}^{n-1}(-1)^i\Delta^{(n-i-1)}(k_0+i-n)^{n-\ell}\,\Delta^{(i)}u(k_0)$$

მარჯვენა მხარეში პირველი ჯამის ორი წევრი გამოვყოთ დ ყველაფერი გადავიტანოთ, გარდა ამ ორი წევრისა, ტოლობის მარცხენა მხარეს

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)-k\Delta^{(\ell)}u(k)=\frac{(-1)^{n+\ell}}{(n-\ell)!}\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell}\Delta^{(n)}u(s)+\sum_{i=\ell+1}^{n-1}\frac{(-1)^{i+\ell}}{(i-\ell+1)!}k^{i-\ell+1}\Delta^{(i)}u(k)+$$

$$+\frac{(-1)^{\ell-1}}{(n-\ell)!}\sum_{i=\ell-1}^{n-1}(-1)^i\Delta^{(n-i-1)}(k_0+i-n)^{n-\ell}\,\Delta^{(i)}u(k_0)$$

თუ გავითვალისწინებთ (2.18_ℓ) პირობას და ასევე გავითალისწინებთ, რომ მარჯვენა მხარის ბოლო შესაკრები მუდმივია

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)-k\Delta^{(\ell)}u(k)=\sum_{i=\ell+1}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell+1)!}+\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right|+C$$

რადგან $\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right|\to+\infty$ როცა $k\to+\infty$ ამიტომ შევარჩევთ $k_1>k_0$ ისეთს,

რომ

$\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right|+C>0$ მაშინ უკანასკნელი ტოლობა ჩავწეროთ შემდეგნაირად

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)-k\Delta^{(\ell)}u(k)\ge\sum_{i=\ell+1}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell+1)!}+\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1}s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right|$$

საკმარისად დიდი k -თვის (2.34)

აქედან ვღებულობთ, რომ

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)-k\Delta^{(\ell)}u(k)\to+\infty \quad \text{როცა} \quad k\to+\infty \tag{2.35}$$

საკმარისად დიდი k -თვის მივიღეთ, რომ

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)\geq k\Delta^{(\ell)}u(k)+\sum_{i=\ell+1}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}}{(i-\ell+1)!}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|$$

ანუ გვაქვს (2.33) უტოლობა

$$\Delta^{(\ell-1)}u(k)\geq \sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}}{(i-\ell+1)!}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|$$

აღვნიშნოთ: $\rho_i(k)\equiv i\Delta^{(\ell-i)}u(k)-(k+1-i)\Delta^{(l-i+1)}u(k) \quad i=\overline{1,\ell}$ (2.36)

$$r_i(k)\equiv k\Delta^{(\ell-i+1)}u(k)-(i-1)\Delta^{(\ell-i)}u(k) \quad i=\overline{1,\ell} \tag{2.37}$$

გამოვიყენოთ ჩვენს მიერ მიღებული (2.35) და ლოპიტალის წესი (2.15) მაშინ გვექნება, რომ

$$\varliminf_{k\to+\infty}\frac{\Delta^{(\ell-i)}u(k)}{k^{i-1}}=+\infty \tag{2.38}$$

მართლაც განვიხილოთ $\dfrac{\Delta(\Delta^{(\ell-I)}u(k))}{\Delta(k^{i-1})}=\dfrac{\Delta^{(\ell-i+1)}u(k)}{(k+1)^{i-1}-k^{i-1}}$ როცა $i=2$

$\dfrac{\Delta^{(\ell-1)}u(k)}{k+1-k}=\Delta^{(\ell-1)}u(k)\to+\infty,$ როცა $k\to+\infty$

მაშინ მიღებთ, რომ $\displaystyle\varliminf_{k\to+\infty}\frac{\Delta^{(\ell-2)}u(k)}{k}=+\infty$

$i=3$ შემთხვევაში $\displaystyle\varliminf_{k\to+\infty}\frac{\Delta^{(\ell-2)}u(k)}{(k+1)^2-k^2}=\varliminf_{k\to+\infty}\frac{\Delta^{(\ell-2)}u(k)}{2k+1}=+\infty$

მაშინ $\displaystyle\varliminf_{k\to+\infty}\frac{\Delta^{(\ell-3)}u(k)}{k^2}=+\infty$ და ა.შ. ე.ი. სამართლიანია (2.38)

(2.38) ტოლობაში მოვახდინოთ გარდაქმნა $i=\ell$ მივიღებთ $\varliminf_{k\to+\infty}\frac{u(k)}{k^{\ell-1}}=+\infty$ ანუ

$\frac{u(k)}{k^{\ell-1}}\to+\infty$ როცა $k\to+\infty$

ვაჩვენოთ, რომ $\Delta\rho_{i+1}(k)=\rho_i(k)$. ამისათვის გამოვიყენოთ (2.36)

$$\rho_{i+1}(k)=(i+1)\Delta^{(\ell-i-1)}u(k)-(k-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)$$

განვიხილოთ $\Delta\rho_{i+1}(k)=\Delta[(i+1)\Delta^{(\ell-i-1)}u(k)]-\Delta[(k-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)]$ (2.39)

(2.39) ტოლობის მარჯვენა მხარეში განვიხილოთ მეორე წევრი

$$\Delta[(k-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)]=(k+1-i)\Delta^{(\ell-i)}u(k+1)-(k-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)$$

ჩავსვათ (2.39)-ში მივიღებთ:

$$\Delta\rho_{i+1}(k)=(i+1)\Delta^{(\ell-i)}u(k)-(k+1-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)+(k-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)$$

მარჯვენა მხარეში პირველი და მესამე წევრების ჯამი ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$i\Delta^{(\ell-i)}u(k)+(k+1-i)\Delta^{(\ell-i)}u(k)$ მაშინ (2.39) მიიღებს სახეს

$$\Delta\rho_{i+1}(k)=i\Delta^{(\ell-i)}u(k)-(k+1-i)\Delta^{(\ell-i+1)}u(k)$$

თუ გავითვალისწინებთ (2.36)-ს მივიღებთ, რომ

$$\Delta\rho_{i+1}(k)=\rho_i(k). \tag{2.40}$$

(2.40) და (2.35)-ის გათვალისწინებით $\rho_i(k)>0$, $i=\overline{1,\ell}$

(2.32)-ის დასამტკიცებლად მოვიქცეთ შემდეგნაირად: განვიხილოთ $\rho_i(k)>0$ უტოლობა თითოეული $i=\overline{1,\ell}$-თვის და უტოლობაში არსებული დაბალი რიგის სხვაობა შევაფასოთ ქვემოდან დანარჩენების საშუალებით:

$$\rho_\ell(k)=\ell u(k)-(k+1-\ell)\Delta u(k)>0 \;\Rightarrow\; u(k)>\frac{(k+1-\ell)\Delta u(k)}{\ell}$$

$$\rho_{\ell-1}(k)=(\ell-1)u(k)-(k+2-\ell)\Delta^{(2)}u(k)>0 \quad \Rightarrow \quad \Delta u(k)>\frac{(k+2-\ell)\Delta^{(2)}u(k)}{\ell-1}$$

....

....

$$\rho_1(k)=\Delta^{(\ell-1)}u(k)-k\Delta^{(\ell)}u(k)>0$$

თუ გამოვიყენებთ ამ შეფასებებს მივიღებთ

$$u(k)>\frac{(k-(\ell-1))(k-(\ell-2))\ldots(k-2)(k-1)}{2\cdot 3\cdot 4\cdot\ldots\cdot(\ell-1)\ell}\Delta^{(\ell-1)}u(k).$$

აქედან ადვილი დასანახია, რომ $u(k)>\dfrac{k^{\ell-1}(1+O(1))}{\ell!}\Delta^{(\ell-1)}u(k).$

ვაჩვენოთ, რომ $\dfrac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}}\downarrow$ მონოტონურია. $\dfrac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}}$ -შეფარდების სხვაობა

განვიხილოთ შემდეგნაირად

$$\Delta\frac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}}=\frac{u(k+1)}{(k+1-(\ell-1))^{\ell}}-\frac{u(k)}{(k-(\ell-1))^{\ell}} \tag{2.41}$$

ამის გათვალისწინებით გვექნება:

$$\Delta\frac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}}=\frac{(k-(\ell-1))^{\ell}u(k+1)-u(k)(k+1-(\ell-1))^{\ell}}{[(k+1-(\ell-1))(k-(\ell-1))]^{\ell}}=$$
$$=\frac{(k-(\ell-1))^{\ell}\Delta u(k)-u(k)[(k+1-(\ell-1))^{\ell}-(k-(\ell-1))^{\ell}]}{[(k+1-(\ell-1))(k-(\ell-1))]^{\ell}}$$

შევაფასოთ ზემოდან მივიღებთ

$$\Delta\frac{u(k)}{(k+1-\ell)^{\ell}}\le\frac{(k-(\ell-1))^{\ell-1}[(k-\ell+1)\Delta u(k)-\ell u(k)]}{[(k+1-(\ell-1))(k-(\ell-1))]^{\ell}}$$

რადგან $\rho_\ell(k)=\ell u(k)-(k-\ell+1)\Delta u(k)$ და $\rho_\ell(k)>0$ ამიტომ $\Delta\dfrac{u(k)}{(k+1-\ell)^\ell}\le 0$ ე.ი.

$\dfrac{u(k)}{(k+1-\ell)^\ell}\downarrow$ როცა $k\to+\infty$.

ახლა ვაჩვენოთ $\dfrac{u(k)}{k^{\ell-1}}$ -ის მონოტონურობა. ამისათვის განვიხილოთ შეფარდება

$\dfrac{u(k)}{\prod_{i=0}^{\ell-2}(k+i)}$ და დავწეროთ მისი სხვაობა ანალოგიურად როგორც (2.41)-ში

განვიხილეთ.

$$\Delta\frac{u(k)}{\prod_{i=0}^{\ell-2}(k+i)}=\frac{ku(k+1)-(k+\ell-1)u(k)}{\prod_{i=0}^{\ell-1}(k+i)}$$

მრიცხველში მოვახდონოთ გარდაქმნა

$ku(k+1)-ku(k)-(\ell-1)u(k)=k\Delta u(k)-(\ell-1)u(k)$ თუ გავითვალისწინებთ (2.37) ,აშინ

გვაქვს, რომ $\Delta\dfrac{u(k)}{\prod_{i=0}^{\ell-2}(k+i)}=\dfrac{r_\ell(k)}{\prod_{i=0}^{\ell-1}(k+i)}\ge 0$ სადაც მნიშვნელი არის $k^{\ell-1}$ რიგის.

ამიტომ $\dfrac{u(k)}{k^{\ell-1}}\uparrow+\infty$, როცა $k\to+\infty$.

განვიხილოთ (2.1) ტოლობა $m=n$ და $j=\ell$ -თვის და გავამრავლოთ ტოლობის

ორივ მხარე $(-1)^\ell$ -ზე:

$$\sum_{i=\ell}^{n-1}\frac{(-1)^{i+\ell}}{(i-\ell)!}k^{i-\ell}\Delta^{(i)}u(k)=\frac{(-1)^{n+\ell-1}}{(n-\ell-1)!}\sum_{s=k_0}^{k-1}s^{n-\ell-1}\Delta^{(n)}u(s)+$$

$$+\frac{(-1)^\ell}{(n-\ell-1)!}\sum_{i=\ell}^{n-1}(-1)^i\Delta^{(n-i-1)}(k_0+i-n)^{n-\ell-1}\Delta^{(i)}u(k_0)$$

მარჯვენა მხარის პირველ შესაკრებში მოვახდინოთ ჯამის გარდაქმნა:

$$\sum_{s=k_0}^{k-1} s^{n-\ell-1}\Delta^{(n)}u(s) = -\sum_{s=k-1}^{k_0} s^{n-\ell-1}\Delta^{(n)}u(s)$$

ასევე გავითვალისწინოთ (2.18_ℓ) პირობა. მივიღებთ, რომ

$$\sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell}}{(i-\ell)!}\left|\Delta^{(i)}u(k)\right| = \frac{1}{(n-\ell-1)!}\sum_{s=k-1}^{k_0} s^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| +$$

$$+\frac{1}{(n-\ell-1)!}\sum_{i=\ell}^{n-1}\Delta^{(n-i-1)}(k_0+i-n)^{n-\ell-1}\left|\Delta^{(i)}u(k_0)\right|$$

მარჯვენა მხარეში მეორეშესაკრები მუდმივია და დადებითი როცა $k_0 \to +\infty$ ამიტომ შეგვიძლია იგი უგულებელვყოთ და მივიღებთ

$$\sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell}}{(i-\ell)!}\left|\Delta^{(i)}u(k)\right| \geq \frac{1}{(n-\ell-1)!}\sum_{s=k-1}^{+\infty} s^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| \tag{2.42}$$

განვიხილოთ (2.42) და გავამრავლოთ უტოლობის ორივე მხარე $\frac{k}{n-\ell}$-ზე:

$$\sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell)!(n-\ell)} \geq \frac{k}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{+\infty} s^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| \tag{2.43}$$

(2.34) უტოლობა ჩავწეროთ შემდეგნაირად

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell+1)!} + \frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1} s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right|$$

ცხადია, რომ მარჯვენა მხარის პირველი შესაკრები

$$\sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell+1)!} \geq \sum_{i=\ell}^{n-1}\frac{k^{i-\ell+1}\left|\Delta^{(i)}u(k)\right|}{(i-\ell)!(n-\ell)} \tag{2.44}$$

თუ გავითვალისწინებთ (2.44) და (2.43) მაშინ (2.34) უტოლობა გადაიწერება შემდეგი სახით:

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \frac{k}{(n-\ell)!}\sum_{s=k-1}^{+\infty} s^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| + \frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1} s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| \tag{2.45}$$

(2.45) შეფასებაში განვიხილოთ მეორე შესაკრები. ჩავწეროთ იგი სხვაობის სახით

$$\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1} s^{n-\ell}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| = -\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1} s\cdot\Delta\sum_{k=s}^{+\infty} k^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(k)\right|$$

გამოვიყენოთ ნაწილობითი შეჯამებადობის ფორმულა და ჩავწეროთ (2.45) შეფასებაში

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \frac{k}{(n-\ell)!}\sum_{s=k-1}^{+\infty} s^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(s)\right| - \frac{1}{(n-\ell)!}(k-1)\sum_{j=k}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right| + \frac{k_1-1}{(n-\ell)!}\sum_{j=k_1}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right| +$$
$$+\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1}\sum_{j=s}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right|$$

თუ პირველ შესაკრებში გამოვყოფთპირველ წევრს და მსგავს შესაკრებებს შევაერთებთ მივიღებთ:

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \frac{k}{(n-\ell)!}(k-1)^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(k-1)\right| + \frac{1}{(n-\ell)!}\sum_{j=k}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right| + \frac{k_1-1}{(n-\ell)!}\sum_{j=k_1}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right| +$$

$$+\frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1}\sum_{j=s}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right|$$

ამ უკანასკნელში უგულებელვყოთ პირველი სამი შესაკრბი (ამის უფლება გვაქვს, რადგან ცხადია რომ ისინი დადებითებია). საბოლოოდ გვექნება

$$\Delta^{(\ell-1)}u(k) \geq \frac{1}{(n-\ell)!}\sum_{s=k_1}^{k-1}\sum_{j=s}^{+\infty} j^{n-\ell-1}\left|\Delta^{(n)}u(j)\right|$$

ე.ი. სამართლიანია (2.33). ამგვარად ლემა დამტკიცებულია.

3.მონოტონური ამონახსნების არსებობის აუცილებელი პირობები

თეორემა 3.1 ვთქვათ, სრულდება (1.4) ((1.5)), $0<\lambda<1$, $k_0 \in N$ და $\ell \in \{1,2,..,n-1\}$ სადაც $\ell+n$ კენტ ია ($\ell+n$ ლუწია) და $U_{k_0,\ell} \neq \varnothing$

გარდა ამისა თუ
